

შორენა შენკელია

დასრულდა



შორენა შენგელია

მარცოხსულები



გამომცემლობა „მერანი“
თბილისი
2012

ტექსტორი

მანანა გორგიშვილი

დამკაბადონებელი

თამარ ტყაბლაძე

ოპერატორი

მაია კვანტალიანი

კორექტორი

ხათუნა ჯანჯალაშვილი

გარეკანზე – ცნობილი ბერძენი მხატვრის თეოდორ რალის
(იგი იყო ელენე ილიასკუს ბაბუა) ნახატი „ხატმთხვევა“.

ISBN 978-9941-9245-6-9

სახიჯვი

წინასიტყვაობა 6

ღებუნდა ეღუნესა და ჟონსტანტინეს შუნახებ

ღებუნდა ეღუნესა და ჟონსტანტინეს შუნახებ 13
მე..... 26
პიხვედღ საბეხდნეთში 28
მე და იღონსტუები 33

მახტომსუღებ

მახტომსუღებ 78
ქაღი 79
მამაჯაღი 82

პუბლისონსტინა

ბეღნიღი 20 ნეთი - სტუმხად პატიღისქონან 114
ეღბეღა..... 117
იღინი სანქსთვეღმს უფიღ მოუბეღონან... 120
ქანთვეღები საბეხდნეთში 124
„ბეღნიღი“ ქაღთა სანქსთვეღი 127
ხაღ მტეხმბან დანეღეღეღია, სიყვანუღს უშენეღია 131
ნახატი მოის ტევიღლსაღ მახსენეღს... 135
დაპიხეღებღის ახაღი მახათონის... 136
საბეხდნეთში... სტუმხად ღონან ისანაღქესთან 138
იღვანან სანქსთვეღი ძვეღებუღად უყვანს 140

კიდევ ერთმა ქართველმა გვასახელა	142
ქართველი სპოხტემენის სვედიანი გამახვილება	143
როცა ადამიანები მთვახეზე გასაფხენი... ..	145
მჯერა, მომავლის აღზვევა რომ უნეხია... ..	150
მაგროლია.....	152
საქართველოში ახსებულ ყველა... ..	153
წეხილი საქართველოს	157
გაზაფხული და ყვავილი.....	159
ჩემური განსახლვხა ბენიეხებისა... ..	160

პოეზია

გამოცდა	164
ანი.....	164
დანი.....	165
ყოფილის უღეღეხილი	166
***შეუდახებელს სამშობლოს ჩემსას.....	167
ზღვას.....	167
*** შემოდგომაა ჩემშიც.....	169

წიტილი საცაბოთველს

მოუცლელობა და ამავე დროს ფიქრის გორების წარმოქმნა ჩემი ცხოვრება საბერძნეთში. ამ ასპექტში არასოდეს დამენახა ჩემი თავი უფიქრელად და დაუფიქრებლად ცხოვრებაში ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, ერთი წინადადება არ წარმომითქვამს, ალბათ ეს იყო ჩემი არც თუ ისე ლამაზი და შესაშური, მაგრამ წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ჩემეული წარმართვის, არ ვიცი სწორი თუ არასწორი უნარი, მაგრამ აქაური ფიქრები სულ სხვაა, ყველაფერი შენ გეხვევა თავს, ჩემო დაჩაგრულო საქართველო.

წიგნის ფურცლებივით მეშლება თვალწინ თითქმის ყოველი დღე განვლილი ცხოვრებისა შენი წარსულისა და აწმყოსი, რომლის გახსენება, კიდევაც მახარებს, თან გულს მტკენს, სულ თვალწინ მიტრიალებს მარტო მყოფს. ჩემი ხასიათის სიძლიერე იმაშია, რომ მე ყველა მდგომარეობაში შემიძლია გავიხარო, გავიცინო, გამოვიზაფხულო, სხვაც ცხოვრების მშვენიერებაში დავარწმუნო, მცირედით მოვიხიბლო, მაგრამ ეს ყველაფერი წუთიერია, ყველაზე დიდი ტკივილი, დიდი სიხარული, დიდი განცდა შენა ხარ, ჩემო საქართველოვ, და ამ ტკივილს, სიყვარულს, რამდენიმე სიტყვის ჩანაწერით ვიქარწყლებ ხოლმე ჩემით.

შენი ქუჩების წარმოდგენა ჩქარი მატარებელივით დაქრის ჩემს თვალწინ.

არ გეგონოს რაიმეს ვამატებდე ან მეჩვენებოდეს. მე ის ადამიანი ვარ, რომელმაც მთელი ცხოვრება მდგომარეობის გამოსწორებას ვანდომე და თუ ვერ ვახერხებ ამას, ცუდს გაფურბივარ და ვტოვებ. სულ კარგს ვეძებ ყველასა და ყველაფერში, როგორი მცირედიც არ უნდა იყოს იგი. შენც ცუდად მყოფს გაგექეცი, ვერ გაგიძელი და არც ახლა მინდა ასეთ დაჩაგრულ და გაპარტახებულს გიყურო, მაგრამ იცოდე, რომ ჩემი ყველაზე დიდი სატკივარი ხარ. არც შურიანი ვარ, რომ ვინმესი რაიმე შემშურდეს, ან სხვისი რა უნდა შეგვშურდეს ჩვენი მთის და ბარის პატრონს?!

უბრალოდ, არ მინდა შენს ტანჯვა-წამებას და ფორთხვას ვუყურო. ხანდახან სურვილი მაქვს ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული თეა წამოვიყვანო, მაგრამ შენ დასატოვებლად ვერ გიმეტებ და თეაც მეცოდება უშენოდ, არ მინდა გადაგეჩვიოს, ის ახალგაზრდაა, ის შენ კარგსაც მოესწრება, მე ამის მჯერა. მეც ხომ ნანახი მყევხარ კარგად მყოფი, ისიც არ იყო მთლად კარგად, მაგრამ შენ შენს ქართველობას ინარჩუნებდი მეგონა, მაგრამ შენმა „სასიქადულო“ შვილებმა ისეთები შეგვექმნა კავშირში, რომ მხოლოდ აქ საბერძნეთში გავიგე, რომ თურმე მთელი მსოფლიოს თვალში 70 წელი რუსები ვყოფილვართ, და ალბათ 20-30 წელი მაინც დაგვჭირდება სახელის შესაცვლელად, რუსის ქართველად გადმოსაკეთებლად.

და მაინც კავშირის მასშტაბით მაინც დომინირებდი. შენს თვითმყოფადობას მაინც ინარჩუნებ, ახლა გიხდიან სამაგიეროს დაჭრილს და სწეულს შენი ძველი „მეგობრები“ და „უფროსი ძმები“.

5 ივნისი, 1997 წ. ათენი



გაზაფხული და ყვავილი

რა მშვენიერია სიცოცხლე, როცა მას ამშვენებს და ალამაზებს სიყვარული, რა ცარიელია სიცოცხლე, როცა სიყვარულით განცდილი ხალისი ქრება, როცა სიყვარული ტკივილად გრჩება. ეს ტკივილიც რა მტკივნეულია, იმიტომ რომ სულს სტკივა და მისი ტკივილი სულ სხვანაირია.

რა ლამაზია გაზაფხული, როცა სულშიც გაზაფხულია, როცა გრძნობა და ბუნება ერთად ჩქეფს მშვენიერებით, გრძნობა ზამთარსაც, შემოდგომასაც უხდება, მაგრამ გაზაფხულზე იგი გაზაფხულის ფერებივით ჭრელია, მომხიბვლელია და ხალისიანი, რა ლამაზია ყვავილები, რომლებიც გაზაფხულის მოსვლას სულმოუთქმელად მოეღიან, რომ აყვავილდნენ, გამოავლინონ თავიანთი მომხიბვლელი მშვენიერება, თავი მოიწონონ, დაამშვენონ ირგვლივ ყველა და ყველაფერი. და ეს სიცოცხლის და მშვენიერების სიმბოლო, მისი სურნელებით და სინაზითა და სილამაზით, ირგვლივ ყველას ათბობს.

ცივი გაყინული საფლავებიც კი გაზაფხულის ყვავილების მოლოდინში არიან, სასაფლაოების მშვენიერებაც ხომ ყვავილებია, რომელიც ხდება შუამავალი ცოცხალ ადამიანთა შორის და დრო, რომელსაც მოეღიან. ჩვენ ყვავილებში ჩვენს სულს ვდებთ და ცად ამალღებულ სულთან შესახვედრად ვამზადებთ.

ამიტომაცაა ასე ლამაზი ბუნების ეს საოცრება, ის სულს ამშვენებს, სულს ეკუთვნის და მისგან ნაყოფს არავინ მოეღის.

და მაინც უფრო ლამაზია ბუნების მიერ ნაბოძები, სევდიანიც და ხალისიანიც ადამიანის სამყოფელი, მათრობელა და სურნელოვანი ყვავილებით დამშვენებული.

ჩემიული განსაზღვრა ბედნიერებისა აქ დანახული ბედნიერების ფუნჯი

ადამიანები ყველა და ყველგან ერთნაირები ვყოფილვართ, უბრალოდ შეიძლება დავიყოთ შემდეგ კატეგორიებად — შედარებით ბედნიერები, შედარებით უბედურები. თითოეულ ამ კატეგორიას თავისი ცხოვრებით და ბედისწერით მრავალი ქვეკატეგორია განეკუთვნება, მაგრამ ძირითადად ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში, ერთნაირად გამოიყურებიან თავისი განცდით და ცხოვრებით.

შედარებით ბედნიერები, მგონი ეს ის გრძნობაა, როცა ადამიანს ღმერთისაგან, ადამიანისაგან, ოჯახისაგან, ქვეყნისაგან მონიჭებული გაქვს ცხოვრებისათვის უზრუნველყოფილი პირობები, მაგრამ სრული ბედნიერების განცდა, ჩემი აზრით, ძალიან დროებითია და კიდევ კარგი რომ დროებითია, თორემ შუღლი, ბედნიერსა და უბედურს შორის, ხომ წალეკავდა კაცობრიობას, ადამიანური, თავიანთი ყოველდღიური პრობლემებით ძალიან რომ დასცილდნენ ერთმანეთს.

მაინც სასწაულები ვართ, ბედნიერებიც და უბედურებიც, თავისი მოქმედებით, ყოველდღიური ყოფით, ინტერესით ყველანი თითქმის ერთნაირები არიან, უბრალოდ პირველ მათგანს ე.ი. ბედნიერს — სურვილის დაკმაყოფილება საფიქრებელის მიღწევა, უხდება ყველაფრის ძალდაუტანებლად, მეორეს — „უბედურს“ — კი დიდი ძალისხმევა სჭირდება ყველაფრის მისაღწევად და ვერც გაიგებ ხშირად მათი მოქმედებიდან და განწყობიდან გამომდინარე ვინ უფრო ბედნიერია, ვინც ადვილად აღწევს ყველაფერს, თუ ვისაც წინააღმდეგობებით აქვს ცხოვრება სავესე, მაგრამ წინააღმდეგობებით მიღწეული დაკმაყოფილების განცდა, გამარჯვებას უფრო ჰგავს და ეს დიდ სიხარულს იწვევს, ხოლო ადვილად, თავისთავად მიღწეული, უბრალოდ ყოველდღიური, თანმიმდევრული

ცხოვრების სტილია და ეს ყველაფერი უემოციოდ აღიქმება და სიხარულის განცდაც ნაკლებად ახლავს.

უბრალოდ, ვისაც ცხოვრება პრობლემებით სავსე აქვს, მას ჰგონია და შენატრის უზრუნველყოფილს და ის მართლაც ბედნიერი ჰგონია. არის კიდევაც მასთან შედარებით, გარკვეულ შემთხვევაში, ბედნიერი მისი შესაშური გამართლებული ცხოვრებით, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი შედარებითია, ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ ადამიანებზე, მათ ხასიათზე, მათ საჭიროებებზე, ვის რა ხდის ბედნიერს და ვინ როგორ და როდის აღიქვამს ბედნიერებას და მაინც ადამიანებისათვის ყველაფერი მოსაწყენი ხდება.

ცხოვრება თუ რაიმე სიახლეებით შენ თვითონ არ გააღამაზე, აისს და დაისს განსაკუთრებული მხიარული თვალთ არ შეხედე, გაზაფხულსა და შემოდგომას შორის განსხვავება და სიღამაზე არ ეძებე, არც უზრუნველყოფილი ცხოვრება, არც ბევრი ფული, არც მუდმივი მზრუნველობა სხვისგან, არ ქმნის სრულ ბედნიერ სახეს.

შედარებით უბედურებაზე ასე ვიტყოდი, პრობლემები, წინააღმდეგობები, ყოველდღიური ყოფისათვის ბრძოლა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, დაღლილობა, გამარჯვება, დამარცხება, ყველაფერი ეს ერთ ცხოვრების დიდ თაიგულს ქმნის, რომლის ფერები ხან გახარებს და ხან გადარდებს.

ასე რომ, ბედნიერება ორივე შემთხვევაში სრული და მარადიული განცდა ნამდვილად არ არის.

ყველა ადამიანს გააჩნია ცხოვრებაში ხან ცოტა და ხან უფრო ბევრი ბედნიერი წუთები, რომლებიც წუთებივით სწრაფმავალია, ასეა მე მგონი ბედნიერებაც სწრაფმავალი, ხან ხარ ბედნიერი და ვერ აღიქვამ, ხანკი სულ არ ხარ ბედნიერი, მის მისაღწევად იღწვი და თავს ბედნიერად გრძნობ, ხშირად ბედნიერება უფრო წარსულია, როცა ადამიანი კარგავს რაღაცას და მოგონებებით აღიდგენს იმ წარსულს და ბენიერებას ანერ და ნამდვილადაც იყო ეტყობა ბედნიერი, მაგრამ სათანადოდ ვერ აღიქვა, ვერ

განიცადა ის ბედნიერება ისე ბედნიერად და თქვენ წარმოიდგინეთ გვერდში დგომა, თანადგომა, ყველა კატეგორიის ადამიანებს ერთნაირად სჭირდებათ.

ადამიანებს ძალიან სჭირდებათ ერთმანეთი, ხშირად არც ვუფრთხილდებით და ვერც ვსაზღვრავთ საჭიროების ამ უდიდეს ფაქტორს, რომელიც ყველა ადამიანისათვის აუცილებელია, ვისაც ასე არ ჰგონია, მას უბრალოდ მგონი არ ესმის, როგორ ვიმძიმებთ ცხოვრებას, არაფერი არ ანიჭებს ადამიანს იმდენ სიამოვნებას, რამდენსაც ადამიანებთან ურთიერთობა. თუ გაგიმართლა და კარგ ადამიანებთან გაქვს ურთიერთობა, ეს ხომ უკვე ბედნიერებაა ერთგვარი, მაგრამ არა მარადიული.

ყველაფერი ცვალებადია, ადამიანის განწყობა, ხასიათი, აზრები, ინტერესები, მოთხოვნილებები და როდის რა მოგანიჭებს ბედნიერებას ეს უკვე საკუთარი სურვილებით ცხოვრების წარმართვის უნარზეა დამოკიდებული. მთავარია ცხოვრებას გამოადგე და ის შენს სასარგებლოდ გამოიყენო, გამოსტაცო ყველა დღეს და ღამეს მეტი ბედნიერი წუთები და წამები, მაგრამ ღმერთზე ბევრი რამაა დამოკიდებული, ძალა მან უნდა მოგცეს. თანადგომა, ღმერთთან სიახლოვე, სიფხიზლე, ყველა ცოცხალ ადამიანს ერთნაირად სჭირდება, შედარებით ბედნიერ და შედარებით უბედურსაც. ამაშიც ერთნაირები ვართ ადამიანები.

...

მე ბედნიერი ქალი არასდროს ვყოფილვარ, ალბათ უფლება ბევრის ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ ჩემმა ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ, ბედნიერებთან ყოფნის დიდმა სკოლამ ყველაფერი დამანახა და მასწავლა. შური თ არც მდიდრების შემშურებია არაფერი... ამიტომ ბოდიშს გიხდით ამ სითამამისთვის, ეს ჩემი პირადი აზრია.

ათენი 1998 წ.

ქოგნა



გამოცდა

რა ძნელ გამოცდას გვიწყობს ცხოვრება,
როგორ ცდის მუდამ გაძლებას ჩვენსას,
მაგრამ ჯავრისგან სასოწარკვეთილთ
ისევ გვასწავლის თავის დაღწევას.

აისი

ათასფერად ცა აჭრელდა,
ზღვა ვარდისფერად აპრიალდა,
მთის კალთებზე ნისლი გაქრა
და ღრუბლები გაიფანტა.
არემარე გაემზადა,
დღის მშვენების მოლოდინში.
მთის წვეროზე სხივი გაჩნდა,
დედოფლური მოკრძალებით,
ამობრწყინდა თვალნათელი,
მომღიმარი, ბედნიერი,
გაანათა ირგვლივ ყველა,
მორთო სახლი მშვენიერი,
დღე სიცოცხლით დაიტვირთა
შეიცვალა ყველაფერი.
აქ ბუნებამ გაიღვიძა,
იქ ჩიტები აჭიკჭიკდნენ
და გონებაც ამოქმედდა,
სასწაულის შემოქმედი.
ასე ცოცხლობს მზის გარშემო
უსულოც და სულიერიც.

2010 წელი. ტრაპეზა, საბერძნეთი.

დაისი

მზის ფერებში მორთულ ზეცას,
 ზღვის სიცისფრეც ეხამება,
 ღრუბლებს, თეთრს და ჰაეროვანს,
 მზე სხივებით ეფერება,
 ხან შეივლის სტუმრად ერთთან,
 ხან მეორეს გამოუვლის,
 გაძვრება და გამოძვრება,
 ცასაც ხატავს ათას ფერად,
 ხალისდება არემარე,
 სხივებს აფრქვევს მზის ნათება,
 მერე ტოვებს, ფერად ღრუბლებს ნაჩქარევად.
 დაისისთვის გამზადებულს
 ეთხოვება თითქოს ყველა,
 მერე ჩასულს ზღვა ირეკლავს,
 წითლად მორთავს მთელ ამ სივრცეს,
 ამ დროს მთვარეც ემზადება,
 ფერმკრთალდება მზის კაშკაში
 მერე როცა დაბნელდება,
 ღამეს სტუმრობს სავსე მთვარე
 და იძინებს ეს ბუნება, მშვიდი ძილით,
 დღით დაღლილი.

2010 წელი. ტრაპეზა, საბერძნეთი.

კოდორის უღელტეხილი

საუკუნეთ ცვლამ დაგამშვენა, გაგალამაზა,
 ვერ მოგერია ვერაფერი, იყავ უდრეკი
 და მხოლოდ მაშინ, როცა შენს შვილს
 ძლიერ უჭირდა,
 გახსენი გული, მიეცი გადასარჩენი.
 სიცოცხლის წყურვილს შენ აძლევდი
 მაშინ დასაბამს,
 უღელტეხილზე გამდინარე ცხოვრების წყაროს,
 უბედურ ლტოლვილს ექეც მაშინ თავშესაფარად,
 ტანჯვა-წამების, მაგრამ იმედის გზაზედ მიმავალს.
 რამდენი ცოდვა დატრიალდა შენს მკაცრ კალთებზე,
 რა ბევრი ცუდის გაკეთება შეძლებიათ ადამიანებს,
 ვისაც შენ ასე უერთგულე, გზა გაუკვლიე,
 ვერ დაინახეს, ის სიკეთე და სილამაზე, რაც შენ გაიღე.
 ცოდვების ტრიალს ვერ გაუძელ ალბათ შენ მაშინ,
 იმ რისხვას კი ბევრი კარგიც, ემსხვერპლა მაშინ.
 შენ ბევრმა დედის სული განდო მანდ სათვალყუროდ
 და ბევრმაც შვილი მოგაბარა ჩასახუტებლად...
 ოჰ, გზავ ტანჯვისა...
 სიცოცხლის ხსნისა...
 გამოცდის გზისა,
 გზავ მძიმეც, იმ შავი ღლისა...

28 აპრილი, 1997 წ.

შეუდარებელს სამშობლოს ჩემსას,
 დღეს მჩივანს, მტკივანს და მტირალს ვხედავ,
 სისხლის წვეთები ნაჭრილობებს სდიან და სდიან,
 მაგრამ ჯიშს მისას, დამშვენებულს ტრადიციებით,
 ძლიერ სულს მისას, გაუტეხავს და კაცთმოყვარეს,
 მჯერა, მომავლის აღზევება რომ უწერია.
 ვერ გიფრთხილდებით, შვილნი შენნი, ზურმუხტის დარო,
 ვინ საღ გაგექცა, ვინ ნაიარევს დღესაც გიღრმავებს,
 შენ კი მორჩილად, უპასუხოდ, შვილთაგან შენთა,
 ერევი ჩუმად დარდს, ჯავრს და ტკივილს შენსას.
 მუდამ ლამაზო, ყოვლის შემძლევე, საამაყო,
 სამშობლოვ ჩემო.

1998 წ. პორტო იდრა

ზღვას

შენს ამ სივრცეს რომ გავყურებ,
 მეც ვივსები, შენი ვხდები,
 შენს მშვიდ ნაპირს რომ შევყურებ.
 მეც ვმშვიდდები, შენით ვტკბები,
 ბობოქრობას, ჩემს სურვილებს
 შენით ვიკლავ, შენთვის ვდნები,
 შენში შექრილ კუნძულის მშურს,
 რადგან მარად მასთან რჩები.
 თან ალერსით თავს ევლები
 და ტალღებით ეფერები.
 მერე, როცა საღამო ჟამს,
 მზის სტუმრობას ელოდები,
 სასურველის მოლოდინში,

გასაოცრად აბრწყინდები,
მზე ბორბალაც არ აყოვნებს,
მოდის შენთან დათქმულ დროზე,
მასაც უნდა შენით დატკბეს,
დაისვენოს შენს კალთებზე.
ჩასვენების ეს სურათი,
ხიბლავს ყველას, ვინც გიცქერის,
რადგან იგი გრძნობებს ავსებს
და ყველაფერს ალამაზებს.
მზის დაისის აჭრელება,
წითელ ფერებს აფრქვევს ირგვლივ,
ბრწყინავს წყალი, ცა და მიწა
და ელვარებს არემარე.
ყველაფერი ეს მაგონებს
მორცხვი ქალის სიყვარულით
აღწილი ლოყის ფერებს,
ახლა მესმის, რად სჭირდება,
ლამაზ გრძნობებს ეს ფერები
და სიცოცხლეს ეს ფერები.

2010 წ. ტრაპეზა

შემოდგომაა ჩემშიც,
ტკბილ-მწარე მოგონებით,
უნაზეს ფერთა შერწყმით
და გამხმარ ფოთოლთ ცვენით.
გულს სიხარული უნდა,
ეს კი გაზაფხულს შვენის,
შემოდგომაზე ვტკბებით,
სიბრძნით, სინაზით, სწმენით,
გულს აქ ტკივილიც ართობს
წარსულში მზერა გათბობს,
ნაყოფს ამნიფებს ვაშლიც,
ბელლებს აავსებს ხალხი
და მერე ზამთარს ველით,
მეც და მშვიერი მგელიც.

2010 წ. ათენი, კიფისია

დაიბეჭდა გამომცემლობა
„მერანის“ სტამბაში
მხატვრის ქუჩა №4
ტელ: 31-70-47
32-73-62
E-mail
merani_merani@mail.ru



შორენა შენგელია დაიბადა ქალაქ სოხუმში.
1955 წლის 4 აგვისტოს, დაამთავრა სოხუმის
სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.
მუშაობდა გურჯიფშის სათაო ჰარესაშრობში.
დღესდღეობით ცხოვრობს საბერძნეთში, ქალაქ ათენში.
ეს შორენა შენგელიას მეორე წიგნია.

ISBN 978-9941-9245-6-9

